სსიპ ქალაქ ბათუმის N2 საჯარო სკოლის სასკოლო კლუბი ,,თანადგომა“

მუხლი 1. დებულება

სსიპ ქალაქ ბათუმის N2 საჯარო სკოლის სასკოლო კლუბი ,,თანადგომა“ აერთიანებს მე-7 კლასიდან მე-11 კლასის ჩათვლით, მოსწავლეებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან სახვითი და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების, კერძოდ--კერამიკის, როგორც უძველესი, ტრადიციული რეწვის მიმართულებით. კლუბი დაფუძნებულია სკოლის და სოციალური საწარმო ,,ანდამატის“ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე, რომლის კონტროლს ახორციელებს სკოლის ადმინისტრაცია და სოციალური საწარმო ,,ანდამატის“ დამფუძნებელი.

მუხლი 2. მიზანი

სასკოლო კლუბის მიზნებია:

- კლუბის წევრებისთვის კერამიკის (მეთუნეობის) უძველესი--ტრადიციული და თანამედროვე ტექნიკების გაცნობა-დაუფლებით თიხაზე მუშაობის პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარების განვითარება;
- სახელობო სწავლების პროცესში დაგეგმილი მრავალფეროვანი აქტივობების საშუალებით მოსწავლეებში თვითრეალიზაციის უნარის, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობის გამომუშავება; საკუთარი შესაძლებლობებისადმი რწმენის განმტკიცება.
- სასკოლო სწავლების პარალელურად სახელობო სწავლებაში ჩართვით, მოსწავლეებისთვის თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენების შესაძლებლობის შექმნა და მომავლის პროფესიის არჩევაში ხელის შეწყობა.
- კლუბის მრავალფეროვანი, ექსკლუზიური აქტივობებით სკოლის იმიჯის განმტკიცება

მუხლი 3 ამოცანები

1. სახელოსნო სივრცის აღჭურვა სწავლებისათვის საჭირო სამხატვრო/კერამიკული მასალებითა და დამხმარე ინვენტარით/ინსტრუმენტებით;
2. სახელობო -- პრაქტიკული და თეორიული სწავლება;
3. მრავალფეროვანი (საგანმანათლებლო, კვლევითი, შემოქმედებითი, საქველმოქმედო) აქტივობების დაგეგმვა/განხორციელება;
4. კლუბის აქტივობების შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით სარეკლამო/ საინფორმაციო საშუალებების უზრუნველყოფა

მუხლი 4. განსახორციელებელი აქტივობები

1.1. სწავლებისათვის საჭირო სამხატვრო/კერამიკული მასალებისა და დამხმარე ინვენტარის/ინსტრუმენტების შეძენა.
1.2. დამხმარე სამუშაო ფართის კეთილმოწყობა.
1.3. გამოფენებისათვის საჭირო მოლბერტების შეძენა.
2.1 თემატური სასწავლო გეგმის (კურიკულუმის) შექმნა
2.2 პრაქტიკული და თეორიული გაკვეთილების ჩატარება

3.1. შემოქმედებით პროექტ ,,კერამიკის ალქიმიას " პრაქტიკულ-შემოქმედებით და სახალისო კერამიკულ აქტივობებში სასკოლო კლუბ ,,თანადგომას" წევრთა ჩართვა

3.2. სსიპ აჭარის მუზეუმის ხელოვნების მუზეუმისა და ხარიტონ ახვლედიანის მუზეუმის კერამიკული ექსპონატების დათვალიერება, ჩანახატების გაკეთება.

3.3 საახალწლო, სააღდგომო და ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი გამოფენა-გაყიდვების მოწყობა

3.4. მეოთხე საერთაშორისო კონფერენციაში: ,,მუზეუმი და გლობალიზაცია" მონაწილეობა მიწვეული სტუმრის/სტუმრების სტატუსით.

3.5. მოსწავლეთა კვლევით კონფერენციაში მონაწილეობის მიღება

4.1. ფეისბუქ გვერდის გახსნა

4.2. ფოტო და ვიდეო მასალების შეგროვება

4.3. პრესაში და ტელე-რადიო ეთერებში ,,თანადგომას" აქტივობების გაშუქება

მუხლი 5. სამიზნე ჯგუფი - ბენეფიციარები

25 მდე კლუბის წევრი (პროექტის ძირითადი ბენეფიციარები) და მათ მიერ განსახორციელებელ აქტივობებში (გამოფენები, მასტერკლასები, აქციები) ჩართული მოსწავლეები --მთელი სკოლის მასშტაბით.

მუხლი 6. პროექტის ხანგრძლივობა

კლუბი დაიწყებს ფუნქციონირებას 25 აგვისტოს და განაგრძობს 15 ივნისამდე.

მუხლი 7. განმახორციელებელი ჯგუფები

კლუბს მართავენ და ორგანიზებას გაუწევენ, სკოლის მოსწავლე და პროექტის ხელმძღვანელი-- სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელი